ქალაქ თბილისის
საკრებულო
www.tbsakrebulo.gov.ge

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს წევრის

გიორგი დოხტურიშვილის

წლიური ანგარიში

(01.11.2019-01.11.2020წ.წ.)

თბილისი
2020

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გიორგი დოხტურიშვილის აქტივობა:

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე.
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრი.
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი.
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წევრი.
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობა.
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრი (სამგორის რაიონი, მესამე მასივი).
- სხვა აქტივობები;
- სამომავლო გეგმები.

❖ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის საქმიანობა

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თანამდებობაზე გიორგი დოხტურიშვილის არჩევის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 24 იანვრის №1 განკარგულებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გიორგი დოხტურიშვილი.

საანგარიშო პერიოდში, 2020 წლის 24 იანვრიდან 2020 წლის 1-ლ ნოემბრამდე, საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტითა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ივლისის №3-7 დადგენილებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

- **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის სხდომები, განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები**

2020 წლის 24 იანვრიდან 2020 წლის 1-ლ ნოემბრამდე გაიმართა კომისიის 14 სხდომა (აქედან, 13 სხდომა ჩატარებულ იქნა გ. დოხტურიშვილის მიერ), რომელზეც განხილული იქნა კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული 85 საკითხი.

კომისიის მიერ განხილული საკითხებიდან უნდა გამოიყოს:

„მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების ან/და რეალიზაციის წესი და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეზერვუარის (თბილისის წყალსაცავის) სანიტარული დაცვის ზონის დადგენისა და მართვის წესი.

- ✓ **„მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების ან/და რეალიზაციის წესის“** მიღებით, დედაქალაქის ტერიტორიაზე:

- მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსება ან/და რეალიზაცია აიკრძალა გარკვეულ ფუნქციურ და შეზღუდვით ზონებში, ფენებსა და კონტურებში.
- ამტვერებადი მასალის განთავსება ან/და რეალიზაცია დასაშვები გახდა მხოლოდ იმ შენობა-ნაგებობებში, რომელიც ქმნის გადახურულ სივრცეს, შემოსაზღვრულია კედლებით, კოლონებით ან/და სხვა შემომზღუდავი კონსტრუქციებით და გრუნტი დაფარულია ისეთი მყარი მასალით, რომელიც გამორიცხავს ამტვერებადი მასალის ნიადაგში მოხვედრას და რომელიც დააკმაყოფილებს „ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებით განსაზღვრულ დიდი საფრთხის შემცველი ჯგუფებისთვის დადგენილ პირობებსა და მოთხოვნებს.

- **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეზერვუარის (თბილისის წყალსაცავის) სანიტარული დაცვის ზონის დადგენისა და მართვის წესის“** მიღებამდე, თბილისის წყალსაცავის დაბინძურებისგან დაცვის მიზნით, სანიტარული დაცვის ზონის დასადგენად ჩატარდა თბილისის წყალსაცავის შემოგარენის კვლევა და დადგინდა სანიტარული დაცვის პირველი და მეორე ზონა. კვლევის შესაბამისად, სანიტარული დაცვის მეორე ზონა დაიყო სამ წყალდაცვით ზოლად.

აღნიშნული კვლევის შედეგებისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით, ამასთანავე, გამომდინარე იქიდან, რომ წყალსაცავის წყალშემკრები აუზი მოიცავს დიდ ფართობს, რომლის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა საქმიანობა (ურბანული განაშენიანება, მრეწველობა, სოფლის-მეურნეობა, ტურიზმი და სხვ.), სანიტარული დაცვის ზონა დაიყო სამ სარტყლად, ხოლო მესამე სარტყელი - ორ არეალად. კვლევით გათვალისწინებული სანიტარული დაცვის პირველი ზონა შეესაბამება პირველ სარტყელს, მეორე ზონის პირველი წყალდაცვითი ზოლი - მეორე სარტყელს, მეორე წყალდაცვითი ზოლი - მესამე სარტყლის I არეალს, ხოლო მესამე წყალდაცვითი ზოლი - მესამე სარტყლის II არეალს. თბილისის წყალსაცავის მოცულობისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, თითოეული სარტყლისათვის დადგინდა მართვის სპეციალური რეჟიმი.

სარტყლების საზღვრების იდენტიფიცირების ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმი იყო წყალსაცავის წყალშემკრები აუზის ტერიტორიაზე მიმდინარე და დაგეგმილი საქმიანობების რეგულირების საკითხები, კერძოდ:

- წყალსაცავის წყლის ხარისხზე ნეგატიური ზემოქმედების რისკების გამორიცხვა;
- სანაპირო ზოლში, წყლის დაბინძურების რისკის მქონე ყოველგვარი საქმიანობის შეზღუდვა, წყალსაცავის მთელი პერიმეტრის სარეკრეაციოდ გამოყენების მიზნით;
- წყალშემკრები აუზის ფერდობების განაშენიანებისას, ერთი მხრივ, წყალსაცავის სანიტარულ-სარეკრეაციო დანიშნულებით გამოყენების შესაძლებლობების გაუმჯობესება და, მეორე მხრივ, კონკრეტული შეზღუდვების დაწესება, რათა შეძლებისდაგვარად შემცირდეს განაშენიანების ფართობი და მეტი ყურადღება დაეთმოს გამწვანების სამუშაოებს.

ზოგიერთ ნაწილში სანიტარული ზონის სარტყლების საზღვრები კვეთს ერთმანეთს. ასეთ შემთხვევაში გადაკვეთის წერტილებზე ვრცელდება უფრო მკაცრი რეჟიმის სარტყლის რეგულაციები.

კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვის შემდეგ, მომზადდა და საკრებულოს წარედგინა 83 დასკვნა.

2020 წლის იანვრიდან 2020 წლის 1-ლ ნოემბრამდე განხილული წერილები/განცხადებები

- ✓ **საანგარიშო პერიოდში, 2020 წლის იანვრიდან 2020 წლის 1-ლ ნოემბრამდე გარემოს დაცვის კომისიაში შემოსული განცხადებების/წერილების რაოდენობა: 729 (**შესაბამისი რეაგირება განხორციელდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად).

- ✓ საანგარიშო პერიოდში, **2020 წლის იანვრიდან 2020 წლის 1-ლ ნოემბრამდე,** სხვადასხვა სახელმწიფო და ადგილობრივი ორგანოებიდან, კომისიის მიერ გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის რაოდენობა: 2 წერილი.

❖ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრი

2019 წლის 1-ლი ნოემბრიდან 2020 წლის 24 იანვრამდე (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარედ არჩევამდე) **კომისიის სხდომაზე დასწრების რაოდენობა** - 5;

შესწავლილი საკითხების რაოდენობა - 18

❖ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი

2019 წლის 1-ლი ნოემბრიდან 2020 წლის 1-ლ ნოემბრამდე ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე დასწრების რაოდენობა:

✓ 2019 წელს - 3 ;

შეისწავლილი საკითხების რაოდენობა: 3.

✓ 2020 წელს - 10;

შესწავლილი საკითხების რაოდენობა: - 22.

❖ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს წევრის საქმიანობა

2019 წლის წლის ნოემბრიდან 2020 წლის 1-ლ ნოემბრამდე ფრაქციის სხდომაზე დასწრების რაოდენობა: -15, განხილული საკითხების რაოდენობა: -18.

❖ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობა

➢ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომები

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების 49-ე მუხლის შესაბამისად, გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის რანგში ბიუროს სხდომაზე დასწრების რაოდენობა: - 20.

✓ 2019 წელს - 4;

✓ 2020 წელს 16.

- **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომები**

✓ **2019 წლის 1-ლი ნოემბრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით** საკრებულოს სხდომებზე დასწრების რაოდენობა: - 4;

შესწავლილი და განხილული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების რაოდენობა: - 102 (აქედან, 21 დადგენილება და 81 განკარგულება).

✓ **2020 წლის იანვრიდან 2020 წლის 1-ლ ნოემბრამდე** საკრებულოს სხდომებზე დასწრების რაოდენობა - 13.

შესწავლილი და განხილული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების რაოდენობა 431 (აქედან, 116 დადგენილება და 315 განკარგულება).

❖ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრი (სამგორის რაიონი, მესამე მასივი)

(სამაჟორიტარო ბიუროს მისამართი: ქ. თბილისი, კალოუბნის ქ. **N14**)

მესამე მასივის მაჟორიტარის წარმომადგენლობის მუშაობის პრინციპი

წარმომადგენლობა მუშაობს ყოველ სამუშაო დღეს.

ოთხშაბათს და პარასკევს - მაჟორიტარს აქვს მოქალაქეთა მიღების დღე.

თანამშრომლების მხრიდან ყოველდღიურად ხდება მოქალაქეთა კონსულტაცია, საინფორმაციო მხარდაჭერა.

საჭიროებიდან გამომდინარე, დგება მაჟორიტატის შუამდგომლობა შესაბამის უწყებასთან.

მაჟორიტარის წარმომადგენლობა მუშაობს მესამე მასივის მოსახლეობის პრობლემებზე

საქმიანობის სფეროები:

- ჯანდაცვა და სოციალური მიმართულება
- განათლება და კულტურა
- ინფრასტრუქტურა
- სპორტი და ახალგაზრდობა
- საზოგადოებრივი საქმიანობა

სამაჟორიტარო ოლქი

მოიცავს მესამე მასივს, რომელიც 2 500 000 კვ.მეტრზე

არის გაშენებული

პირობითად შეიძლება დაიყოს ხუთ დიდ უბნად:

- ვარკეთილის ზემო პლატო
- ვარკეთილის ზემო პლატო II მიკრორაიონი
- ჯავახეთის ქუჩა. ვარკეთილის IV მიკრორაიონი, II რიგი
- აბაშვილის ქუჩა (ე.წ. „სამხედრო ქალაქი“)
- ვარკეთილის მესამე მასივი - კვარტლები

მოსახლეობა

- 59 500 მაცხოვრებელი
- მრავალეთნიკური
- ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა - 39472
- სკოლის მოსწავლე - 8077
- საბავშვო ბაღის აღსაზრდელი - 3664
- უფასო სასადილოს ბენეფიციარი - 1383
- დევნილთა კომპაქტური დასახლება - 16 (ჯამში 565 ოჯახი)

ფუნქციონირებს

- 18 ცენტრალური ქუჩა
- 7 საჯარო სკოლა
- 8 საჯარო ბაღი
- 5 სამედიცინო ცენტრი
- 1 მოქმედი და 1 მშენებარე ტაძარი
- 2 უმწეოთა სასადილო
- 1 ბიბლიოთეკა
- 1 პოლიცია
- 1 დაცვის პოლიცია

მესამე მასივის მაჟორიტარის წარმომადგენლობის უწყებათაშორისი თანამშრომლობა

- ✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო;
- ✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია და საქალაქო სამსახურები;
- ✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობა;
- ✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- ✓ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო;
- ✓ შპს „ყაზტრანსგაზი“;
- ✓ სს „თელასი“;
- ✓ კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი - GWP”

ჯანდაცვა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მესამე მასივის მაჟორიტარი წევრის შუამდგომლობით:

- მედიკამენტებისთვის დაფინანსება, სამედიცინო გამოკვლევები და ოპერაციული მკურნალობა ჩაუტარდა - 603 მოქალაქეს;
- ერთჯერადი მიზნობრივი დახმარება გაეწია - 494 მოქალაქეს;

ჯამში დაკმაყოფილდა - 1097 მოქალაქის მოთხოვნა.

სოციალური საკითხები და სოციალური სტატუსი

- წარმომადგენლობა უზრუნველყოფს სოციალური მომსახურების პროგრამით გათვალისწინებული სერვისების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მოძიებას და მიწოდებას დაინტერესებული მოქალაქეებისათვის.
- მოქალაქის თხოვნით ხდება ინდივიდუალური „ქეისის“ განხილვა სოციალურ აგენტებთან ერთად (შემდეგ მოქალაქის ინფორმირება და საჭიროების შემთხვევაში, მაჟორიტარი მომსახურების სააგენტოსთან აყენებს შუამდგომლობას).

განათლება
სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები

- ვარკეთილის ზემო პლატო - კორპუსი N1-ის მიმდებარედ ახალი, ევროპული სტანდარტების საბავშვო ბაღის მშენებლობა დასრულდა.

  ახალი ბაღი 2285 კვ.მეტრ ფართობზე არის განთავსებული.

  ბაღში 8 ჯგუფი ფუნქციონირებს და ჯამში 260-მდე ბავშვი მიიღებს სკოლამდელ განათლებას.

ინფრასტრუქტურა

- ✓ შიდა გზების მოასფალტება - 18 მისამართზე;
- ✓ სპორტული მოედნის რეაბილიტაცია - 2 მისამართზე;
- ✓ ფიტნეს ზონის მოწყობა - 5 მისამართზე;
- ✓ ახალი სკვერი მოწყობა - 4 მისამართზე;
- ✓ სკვერის რეაბილიტაცია - 3 მისამართზე;
- ✓ კიბეების რეაბილიტაცია და კედლის მოწყობა - 3 მისამართზე;
- ✓ ლითონის დეკორატიული მოაჯირების მოწყობა - 3 მისამართზე;
- ✓ საკანალიზაციო ქსელის მოწყობა- 8 მისამართზე;
- ✓ სანიაღვრე ქსელი მოეწყო - 3 მისამართზე;
- ✓ გზების რეაბილიტაციის მიმდინარე სამუშაოები - 5 მისამართზე;
- ✓ მომავალი წლისთვის გათვალისწინებულია სკვერის რეაბილიტაცია.

მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების თანადაფინანსებული პროექტების ფარგლებში შესრულებული სამუშაოები

- ✓ ბრტყელი და ქანობი სახურავით გადახურვა - 13 მისამართზე;
- ✓ სადარბაზოს სენსორული განათების მოწყობა - 12 მისამართზე;
- ✓ შიდა წყალკანალიზაციის მოწყობა - 6 მისამართზე;
- ✓ სადარბაზოს შიდა რემონტი განხორციელდა - 5 მისამართზე;
- ✓ წყალსაწრეტი მილები მოეწყო - 11 მისამართზე;
- ✓ საერთო სარგებლობის კიბე მოეწყო - 1 მისამართზე;
- ✓ ლიფტის რეაბილიტაცია განხორციელდა - 3 მისამართზე;
- ✓ კორპუსებში სართულშუა ნაპრალების აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები განხორციელდა - 8 მისამართზე;
- ✓ გარე განათების პრობლემა აღმოიფხვრა - 80-მდე მისამართზე;
- ✓ სადარბაზოს ქუდის შეკეთება;
- ✓ კორპუსის წითელი ხაზების დადგენა;
- ✓ მომავალი წლისთვის გათვალისწინებულია რამდენიმე მძიმე ავარიული, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის გამაგრებითი სამუშაოების განხორციელება.

ინფრასტრუქტურული სამუშაოები

ვარკეთილის მესამე მასივში (კალოუბნის, შუამთის, საცხენისის და ელდარის ქუჩების კვეთაზე) ახალი, ცენტრალური სანიაღვრე კოლექტორი მოეწყო.

საგზაო სამუშაოები

საკანალიზაციო ქსელის მოწყობის სამუშაოები



მესამე მასივის მაჟორიტარის წარმომადგენლობის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები

- ✓ საახალწლო საქველმოქმედო აქცია
- ✓ სააღდგომო საქველმოქმედო აქცია
- ✓ კამპანია „გაუფრთხილდი სიცოცხლეს“
- ✓ გამწვანების აქციები

✓ საახალწლო საქველმოქმედო აქცია

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მესამე მასივის მაჟორიტარი წევრის, გიორგი დოხტურიშვილის ინიციატივით, კომპანია „ილი ჯგუფი“-ს და 145-ე სკოლის თვითმმართველობის თანადგომით, საახალწლო საქველმოქმედო აქცია გაიმართა.

აქციის ფარგლებში მესამე მასივში მცხოვრებ მრავალშვილიან და სოციალურად შეჭირვებულ 50-მდე ოჯახს, შობა-ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით, სურსათი და ტკბილეული გადაეცათ.

✓ სააღდგომო საქველმოქმედო აქცია

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მესამე მასივის მაჟორიტარი წევრის, გიორგი დოხტურიშვილის ინიციატივით, სააღდგომო საქველმოქმედო აქცია გაიმართა.

აქციის ფარგლებში მესამე მასივში მცხოვრებ სოციალურად შეჭირვებულ 50-მდე ოჯახს, საკვები პროდუქტები და პირველადი მოხმარების ნივთები გადაეცათ.

✓ კამპანია „გაუფრთხილდი სიცოცხლეს“

კამპანიის „გაუფრთხილდი სიცოცხლეს“ ფარგლებში, ვარკეთილის მესამე მასივის მოსახლეობასთან საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა გაიმართა.

„თბილისი ენერჯის“ ხელმძღვანელობა, კომპანიის გაზის სპეციალისტებთან ერთად, უშუალოდ შეხვდა სხვადასხვა უბნის მოსახლეობას და პირადად ესაუბრა აბონენტებს გაზის უსაფრთხო მოხმარების საკითხებზე. პარალელურად, პირველად, „თბილისი ენერჯის“ სპეციალისტებმა საჯარო სკოლებში უფროსკლასელებისთვის უსაფრთხოების თემებზე მასტერკლასები ჩაატარეს.

შეხვედრაზე მოსახლეობას სპეციალური საინფორმაციო სარეკომენდაციო ფლაერები დაურიგდა.

კამპანია „გაუფრთხილდი სიცოცხლეს“

✓ გამწვანების აქციები

❖ სხვა აქტივობები

2020 წლის 27 იანვარი

კონკურსი – „სუფთა რეგიონის“ გამარჯვებულების დაჯილდოების ცერემონია.

ღონისძიება შვედეთის მთავრობის ფინანსური უზრუნველყოფითა და საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოს, ასევე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ინიციატივითა და დედაქალაქის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის მხარდაჭერით მოეწყო.

კონკურსი მიზნად ისახავდა სუფთა ქალაქის, რეგიონის, მუნიციპალიტეტის, სოფლის და ლამაზი ეზოს, ასევე ლამაზი აივნის გამოვლენას.

საკონკურსო კომისიის მიერ, წარმოდგენილი ფოტო/ვიდეო მასალის საფუძველზე, გამარჯვებულები გამოვლინდნენ რვა ნომინაციაში.

2020 წლის 7 თებერვალი
სამუშაო შეხვედრა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს“ ხელმძღვანელ პირებთან.
თემა: ურბანულ გარემოში ბინადარი შინაური ცხოველები (ძაღლები, კატები) და მათი პოპულაციების მართვა

2020 წლის 9 თებერვალი
სამუშაო შეხვედრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსთან (გ. გიგაშვილი).
თემა: სამსახურის საქმიანობა და სამომავლო გეგმები, განხორციელებული, მიმდიანრე და განსახორციელებელი მნიშვნელოვანი მწვანე ინფრასტრუქტურული პროექტები

2020 წლის 10 თებერვალი
სამუშაო შეხვედრა შპს „ეკოსერვის ჯგუფი“-ს დირექტორთან, ვახტანგ ნოზაძესთან.
თემა: შპს „ეკოსერვის ჯგუფი“-ს მიერ განხორციელებული სამუშაოები და სამომავლო გეგმები.

შეხვედრები კინოლოგიური ფედერაციის პრეზიდენტთან, გია გიორგაძესთან და არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანეთა მოძრაობა დედამიწის მეგობრები - საქართველო-“ს თავმჯდომარესთან - ნინო ჩხობაძესთან

თემა:კონკურსი „სუფთა რეგიონი”, რომელიც ყოველწლიურად იმართება ორგანიზაცია „მწვანეთა მოძრაობა დედამიწის მეგობრები - საქართველო-“ს და საკრებულოს აქტიური თანამშრომლობით.

თემა:

- მთის მეცხვარული ძაღლის (ყაზბეგური მთის ქოსა) ქართული ენდემური სახეობის მოშენება და მსოფლიო დონეზე მისი, როგორც ქართულ აბორიგენულ ჯიშად აღიარების ხელშეწყობის აუცილებლობა.
- სპორტულ-პროფესიული შეჯიბრებების მნიშვნელობა და ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება.

2020 წლის 18 თებერვალი

სამუშაო შეხვედრები ეროვნული ბოტანიკური ბაღის დირექტორთან - თამაზ დარჩიძესთან და ზოოლოგიური პარკის (ზოოპარკი) დირექტორთან - ზურაბ გურიელიძესთან.

2020 წლის 5 მარტი

ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში ახალი ბოტანიკური ცენტრის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი.

2020 წლის 6 მარტი

სამუშაო შეხვედრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ინსპექციის უფროსთან ლევან ჯღარკავასთან.

თემა: მუნიციპალური ინსპექციის მიერ განხორციელებული სამუშაოები მშენებლობის, ქალაქის გარე იერსახის, გარე რეკლამის, გარე ვაჭრობის, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების, ასევე ხმაურის ნორმების დაცვის კუთხით; გამოვლენილი სამართალდარღვევები, საჯარიმო სანქციები და საკანონმდებლო რეგულაციები.

კამპანია „დარჩი სახლში - შეაჩერე კორონა“

კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის პერიოდში მოსახლეობის დახმარების კამპანიაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მესამე მასივის მაჟორიტარი წევრი, გიორგი დოხტურიშვილი აქტიურად არის ჩართული.

განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ოჯახები. მათთვის საკვები პროდუქტებისა და პირველადი მოხმარების ნივთების დარიგების კამპანია სისტემატურად ხორციელდება.

მსგავსი ტიპის ღონისძიებები გაგრძელდება მანამ, სანამ ამის საჭიროება იქნება.

კორონავირუსის გავრცელების პრევენციის პერიოდში მოსახლეობის დახმარების კამპანია

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

- ✓ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს 10 500-ზე მეტი თანამშრომელი და მათი ოჯახის წევრი სამედიცინო მომსახურების შეღავათებს მიიღებს.
- ✓ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს, თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტსა და დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.
- ✓ ინიციატივის თანახმად, თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს თანამშრომლები და მათი ოჯახის წევრები სამედიცინო მომსახურების საშეღავათო პაკეტს მიიღებენ.

2020 წლის 8 მაისი

მთაწმინდის ფერდობზე დაზიანებული მწვანე ნარგავების აღდგენითი სამუშაოების პრეზენტაცია.

პროექტი ითვალისწინებს მთაწმინდის ფერდის ტყის ლანდშაფტის აღდგენა-რეაბილიტაციისა და ტურისტულად მიმზიდველი გარემოს შექმნას.

თბილისში მიუსაფარი ძაღლებისთვის კვების აპარატები დაიდგა.

კვების აპარატში პლასტმასის 0,5-ლიტრიანი ბოთლის ჩაგდების შემთხვევაში, ძაღლებისთვის საკვები ჩამოიყრება, ხოლო დისპენსერში წყლის ჩასხმის შემდეგ, ცხოველებს დაწყურების საშუალება მიეცემათ. კვების აპარატი რეციკლირების პროცესს უწყობს ხელს და მუშაობისთვის მზის ენერგიას იყენებს.

აპარატების დადგმის ინიციატივა პროექტის - „შენი იდეა ქალაქის მერს“ ერთ-ერთ გამარჯვებულს, გიორგი ხავთასს ეკუთვნის. იდეა თბილისის მერიის ცხოველთა მონიტორინგის სააგენტომ განახორციელა.

ვარკეთილი 3-ის, მესამე ა მიკრორაიონში ე. თაყაიშვილის ქუჩის მიმდებარედ არსებულ სკვერში ძაღლების საკვების აპარატების დადგმა



სტუმრად ცხოველთა მუნიციპალურ თავშესაფარში

❖ სამომავლო გეგმები

დაგეგმილი პროექტები

- ✓ ვარკეთილის ზემო პლატო - 3 ჰექტარ ტერიტორიაზე ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი რეკრეაციული სივრცე მოეწყობა.

პარკის პასიურ და აქტიურ დასვენების ზონად დაიყოფა. ტერიტორიაზე იქნება მოსასვენებელი სივრცეები. ატრაქციონებით დატვირთული საბავშვო, სპორტული და სავარჯიშო მოედნები, ღია ამფითეატრი, შადრევანი, ველობილიკი, ძაღლების სასეირნო და სავარჯიშო სივრცე, სკეიტ-პარკი, გადმოსახედი ბაქანი და საპიკნიკე.

განახლდება არსებული საფეხმავლო ხიდიც, ტერიტორია გათვლილი იქნება ყველა ასაკობრივ ჯგუფზე და სრულად იქნება ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის.

პროექტის განხორციელება უახლოეს მომავალში დაიწყება და 2021 წლის გაზაფხულისთვის დასრულდება.

მოსახლეობასთან საჯარო შეხვედრა

ვარკეთილის ზემო პლატო - 3 ჰექტარ ტერიტორიაზე ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი

რეკრეაციული სივრცის პროექტის წარდგენა

FINISH

- ✓ ვარკეთილის ზემო პლატოს II მიკრორაიონის 21-ე, 23-ე და 23-ე კორპუსების მიმდებარედ ახალი მულტიფუნქციური დასასვენებელი სივრცე მოეწყობა.

პროექტის ღირებულება 757 350 (შვიდას ორმოცდაჩვიდმეტი ათას სამას ორმოცდაათი) ლარია. სკვერის მოწყობის სამუშაოები 2021 წელს დასრულდება.

ვარკეთილის ზემო პლატოს II მიკრორაიონის 21-ე, 23-ე და 23-ე კორპუსების მიმდებარედ ახალი მულტიფუნქციური დასასვენებელი სივრცის პროექტი

2021 წელს დაგეგმილი 6 დიდი საქალაქო მნიშვნელობის რეკრეაციული პროექტი

- ✓ საქალაქო პარკი მტკვრის ჭალებში - ფონიჭალა;
- ✓ ვაზისუბნის პარკი;
- ✓ „თემქის ხევი“ - ზღვის უბნის ტერიტორია;
- ✓ დიღმის ჭალები;
- ✓ დირსიჭალის პარკი;
- ✓ ცენტრალური პარკი.

2021 წელს დაგეგმილი 6 დიდი საქალაქო მნიშვნელობის რეკრეაციული პროექტი

- **„მტკვრის ჭალები“** - ფონიჭალის მიმდებარედ დიდი საზოგადოებრივ-სარეკრეაციო სივრცის დაგეგმარება არის აუცილებელი ნაბიჯი ამ ტერიტორიის შეუსაბამო განაშენიანებისგან დასაცავად.

- **ვაზისუბნის პარკი** - მოცემულ ტერიტორიას, როგორც მტკვრის მწვანე სივრცეს, გარდა საუბნო მნიშვნელობისა, გააჩნია საქალაქო მნიშვნელობაც, რაც გათვალისწინებული უნდა იქნას პარკის გეგმარების პროცესში.

- **„თემქის ხევი“ - ზღვის უბნის ტერიტორია** ორ მჭიდროდ დასახლებულ უბანს შორის არსებული ხეობა, დღევანდელი მდგომარეობით, წარმოდგენილია მშრალი სახით (ხევძმარის შენაკადი მოქცეულია კოლექტორში). საპროექტო სივრცის საერთო ფართობი დაახლოებით 40ჰა-ს შეადგენს. უშუალოდ მის გარშემო არსებული დასახლებები დაახლოებით 80 000 (ოთხმოცი ათასი) მოსახლეს იტევს, რომლებსაც დღესდღეობით არ გააჩნიათ პირდაპირი წვდომა მსხვილ საპარკო-სარეკრეაციო ობიექტებზე.

- **„დიღმის ჭალები“** წარმოადგენს მეტ-ნაკლებად ბუნებრივი სახით შენარჩუნებულ მტკვრისპირა ზოლს, რომელსაც განსაკუთრებული ეკოლოგიური, ლანდშაფტური და ურბანული ღირებულება გააჩნია ქალაქისთვის, განსაკუთრებით გამწვანებული ტერიტორიების მწვავე დეფიციტის პირობებში. დიღმის ჭალების ტერიტორიის სარეკრეაციო ფუნქციით განვითარება, რის ფარგლებშიც უნდა განისაზღვროს როგორც საპარკე, ასევე სხვა სამშენებლო არეალები, ასევე, უზრუნველყოფილ იქნას მდინარესთან წვდომა, ბიომრავალფეროვნების და არსებული ეკოსისტემების შენარჩუნება. მნიშვნელოვანია მდინარის ორივე ნაპირისთვის ერთიანი გადაწყვეტების შემუშავება, შესაძლო საფეხმავლო კავშირების (ხიდების) გათვალისწინებით.

- **დირსიჭალის პარკი** - მოცემული საპარკე სივრცე მდებარეობს „დირსის“ განაშენიანების აღმოსავლეთით, მდინარე მტკვრის სანაპიროზე. ტერიტორია შენარჩუნებულია აუთვისებელი სახით. მოცემულ ტერიტორიას, როგორც მტკვრის მწვანე სივრცეს, გარდა საუბნო მნიშვნელობისა, გააჩნია საქალაქო მნიშვნელობაც, რაც გათვალისწინებული უნდა იქნას პარკის გეგმარების პროცესში.

- **ცენტრალური პარკი** - თბილისის ცენტრალური პარკი (ყოფილი იპოდრომის ტერიტორია) 36 ჰექტარს მოიცავს. აქედან, 22 ჰექტარი ვაკე, 14 ჰექტარი კი ფერდობია. ცენტრალური პარკის პროექტი 26 ზონისგან შედგება. ჩამონათვალში შედის: იაპონური ბაღი; საგანმანათლებლო ცენტრი (ორსართულიანი ნაგებობა, სამკითხველო და სამუშაო სივრცით); პანორამული პლატფორმა; ხელოვნური ტბა; ამფითეატრი; ბოტანიკური ბაღი; შადრევანი; პანორამული ხიდი; ფრანგული ბაღი; კვების ზონა და მთავარი, დიდი მდელო; სპორტული ზონა (საკალათბურთო და საფეხბურთო მოედნები).

ე.წ. „ხრუშჩოვკების“ ჩანაცვლების პროექტი

- ✓ თბილისელების მრავალწლოვანი დამღლელი ლოდინის შედეგად, ე.წ. „ხრუშჩოვკების“ ჩანაცვლების პროექტი დაიწყო.

მასშტაბური მშენებლობა, რომელიც შემოდგომაზე დაიწყება და 36 თვის ვადაში დასრულდება, ხუთ 12 სართულიან საცხოვრებელ კომპლექსს მოიცავს. პარალელურად, მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყობა საგზაო ინფრასტრუქტურა, ავტოპარკინგი და რეკრეაციული სივრცე.

აგრეთვე ტერიტორიაზე 400 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღი განთავსდება.

განათლება
სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება

- ვარკეთილის მესამე მასივში, მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ, 2021 წელს, მასშტაბური ინფრასტრუქტურული სამუშაოები არის დაგეგმილი.

კერძოდ, 28-ე ბაგა-ბაღის შენობის დემონტაჟი მოხდება და მის ნაცვლად ახალი, ევროპული სტანდარტების ბაგა-ბაღი აშენდება.

28-ე ბაგა-ბაღის შენობის დემონტაჟი

28-ე ბაგა-ბაღის შენობის პროექტი

ვარკეთილის მესამე მასივში ევროპული სტანდარტების 28-ე ბაგა-ბაღის პროექტი

მადლობა ყურადღებისთვის

პატივისცემით,
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს წევრი,
გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე,
სამგორის რაიონის მაჟორიტარი
გიორგი დოხტურიშვილი

საქართველო, თბილისი 0105,
თავისუფლების მოედანი 2
www.tbsakrebulo.gov.ge

გიორგი დოხტურიშვილი / Giorgi Dokhturishvili @GDGiorgiDokhturishvili

ელ.ფოსტა:
Garemosdacva.komisia1@gmail.com